

6

წიგნების წამომკვეთლობა ალ. არაბიძისა და მზ.

192277
3

213

მეცნიერებათა

მეცნიერებათა

კლასიკური

პ. სევერდინის წინასიტყვაობით

ტფილისი

სტამბა დ. ა. რუხაძისა და მზ., გაბაშვილის შესახვევი, № 1

1920

მესოლოგია

რესპუბლიკის

კონსტიტუცია

პ. საყვარელიძის წინასიტყვაობით.

ტფილისი

სტამბა ვ. ა. რუხაძისა და აშხ., გაბაშვილის შესახევი, № 1

1920

წინასიტყვაობა.

ჩეხოსლოვაკური რესპუბლიკის კონსტიტუცია მრავალნაირათ საინტერესო და საყურადღებოა საქართველოს დემოკრატიის ფართო წრეებისათვის. ჩეხოსლოვაკია ერთი საუკეთესოა ახლად შექმნილ სახელმწიფოთაგანია, რომელთა გამოკვეთას ისტორიულ ცხოვრების ტატნობაზე ხელი შეუწყო უდიდესმა საერთაშორისო კრიზისმა. მაგრამ ჩეხოსლოვაკების დღევანდელი მდგომარეობა შედეგია უმთავრესად მათი თავდადებული ისტორიული ბრძოლისა თავის უფლებებისა და თავისუფლებისათვის.

ჩეხიის ხალხმა საშინელი ტანჯვა-წამება განიცადა თავის ხანგრძლივი არსებობის იტორიულ მსვლელობაში. იგი ერთხელ ძლიერი, დაეცა, დაიქსაქსა და დიდი ხნით სრულს ეროვნულ და კულტურულ დავრდომილებაში ჩავარდა. უცხო ერის და უცხო სახელმწიფოებრივობის მტარვალური ბატონობა მიმართული იყო პირდაპირ მისი ხალხოსნური არსებობის გასაუქმებლად და კულტურულ-ნაციონალური სახიერების ზოსასპობად.

სრულიად გაგერმანელდა ქალაქი და შკოლა, ბურჟუაზია და ადმინისტრაცია. არისტოკრატია, სრულიად გადაგვარებული, მხოლოდ გეოგრაფიულად ეკუთვნოდა ჩეხიას და ხალხის ეროვნული არსებობის და კულტურული განვითარების ბედი მას სრულიად აღარ აინტერესებდა. სოფლის ხალხი, უზომოდ შეწუხებული ათასნაირი გადასახადით, გულისშემზარავ პოლიტიკურ-ნაციონალურ მონობის უღელში გმინავ-

და და იხუთებოდა. ჩეხური ენა განიღვენა, შკოლიდან, განიღვენა ხმარებიდან. გერმანულად და ლათინურად სწერდნენ.

განუსაზღვრელი სევდა ბატონობდა მაშინ ბევრი პატრიოტის გულში. ეკარგებოდათ სამშობლოს და ერის აღდგენის იმედი.

მაგრამ თურმე ყველაფერი არ იყო დაღუპული, ვინაიდან ნაციონალურ შეგნება ხალხის, დემოკრატიის მივარდნილ კუნძულებში ვადამალულიყო. შორს, ერის გულის სიღრმეში ნაპერწკალი კრთოდა. ამასობაში იფეთქა საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ და თავის გამათავისუფლებელი და დემოკრატიული იდეები მოფანტა მთელს ევროპას. აქედან იწყება ჩეხიის ხალხის კულტურულ-ეროვნული და ეკონომიური აღორძინება. „დიდს ზამთარს მოყვა გაზაფხული“.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ჩეხიის ხალხი თანდათან მთელდება ნაციონალურად და თავიდანვე დემოკრატიული დროშის ქვეშ ებმება თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში. ის საკმაოდ მოღონიერებული სოციალურად და მომწიფებული პოლიტიკურად, განსაკუთრებით გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, განუწყვეტლივ ბრძოლას უცხადებს გერმანია—ავსტრიის დიდმპყრობელურ დამმონავებულ პოლიტიკას და მთელი თავის არსებით მოითხოვს ერის უფლების აღდგენას და ნაციონალურ სახელმწიფოებრივობას.

გერმანიის და ავსტრიის ცენტრალისტური მთავრობები დიდის სისასტიკით ებრძოდნენ საზოგადოდ ერთა დემოკრატიულ გამათავისუფლებელ მოძრაობას; კერძოდ ჩეხიის ხალხოსნური მოძრაობის ჩასაკლავად მათ არ დაუშურაჲს არაფითარი დონისძიება, არც ფული, არც ციხე, არც ტყვია. ავსტრიის მინისტრმა თ. ვინდისგრეცმა 1894 წ. საჯაროდ განაცხადა: მთავრობისთვის ჩეხიას საკითხი არ არსებობს.

მაგრამ თუ მთავრობისთვის არ არსებობდა ჩეხიის ნაციონალური საკითხი, თვით ჩეხიის ხალხი, მისი დემოკრატი

ამისთვის სისხლს ღვრიდა და იტანჯებოდა. ცხოვრებამ და ისტორიულმა მსვლელობამ ბურთი ჩასჩრა პირში როგორც პანგერმანულ ისე პანსლავურ პოლიტიკას და ჩეხიის ხალხი ეროვნულ-კულტურულად აღმდგარი, აღსდგა პოლიტიკურ—სახელმწიფოებრივადაც. ეს იყო დემოკრატიის საქმე.

ერთი ჩეხელი მწერალი კზეჩი ასე მიმართავს სლოვაკებს, თავის თანამომძმეებს, რომლებიც ჩეხებისაგან მხოლოდ ენის კილოკავით ნსხვავდებიან: „კარპატის შვილნო, ახალმა ისტორიამ გაგვყო. მაგრამ ვერაფერი დაარღვევს ათასს კავშირს, რომელიც უხსოვარ დროიდან ჩვენ შორის არსებობს. ჩვენ ერთი ხალხი ვართ, ერთი ენა გვაქვს. ვერაფერი გაგვცრის. მხარი მხარს და გაგვიტენდებოა.“

და მართლაც გაუთენდათ ჩეხო-სლოვაკებს. მათ გამოაცხადეს ნაციონალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ფორმა ამ ახალი ჩეხოსლოვაკური სახელმწიფოსი არის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის დამფუძნებელმა კრებამ (სახალხო კრება) ამ 1920 წ. თებერვლის 29 მიიღო ქვემოთ მოყვანილი კონსტიტუცია.

ეს კონსტიტუცია მრავალ-მხრივი და უფლებრივად მეტად შინაარსიანია. მაგრამ ახლავე უნდა განვაცხადოთ, რომ მას ახლავს ბევრი ისეთი ელემენტი, რომელიც არ შეგვიძლია გავიხადოთ სასურველად და მიზანშეწონილად საერთოდ დემოკრატიისთვის და კერძოდ ჩვენი რესპუბლიკისთვის.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სახალხო კრებას, რომელიც დეპუტატთა სეიმისა და სენატისაგან შესდგება. მაშასადამე ჩეხოსლოვაკიაში ორპალატიანი სისტემაა. საარჩევნო უფლება და სხვა უფლებრივ-პოლიტიკური პირობა უაღრესად დემოკრატიულია ყველაფერში. მხოლოდ თავიდანვე თვალში გვხვდება მეტად გრძელ ვადიანი პარლამენტი: სეიმი-ექვსწლიანი, სენატი რვა წლიანი. სენატი სეიმთან შედარებით სულ მცირე უფლებით არის აღჭურვილი. ძნელი წარმოსად-

გენია რა მოსაზრებას ხელმძღვანელობდა ჩეხოსლოვაკიის დემოკრატია და მისი სახალხო კრება, რომელშიაც უმეტესობა სოციალისტურია, როცა ასეთ გრძელვადიან საკანონმდებლო წარმომადგენლობას ჰქმნიდა.

რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელსაც ირჩევს სახალხო კრება (შეერთებული პალატები), ერთობ დიდი უფლებები აქვს მინიჭებული. იგი ირჩევა შვიდი წლით (შვიდი წლითვე ირჩევიან საფრანგეთის რესპუბლიკის და ახალი გერმანიის პრეზიდენტები). პრეზიდენტი იწვევს და ხურავს სახალხო კრების სესიებს. მას აქვს უფლება კიდევ დაითხოვოს პალატები. საინტერესო შედარება: საფრანგეთის პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს დეპუტატთა პალატა მხოლოდ სენატის თანხმობით. აქ კი ასეთ თანხმობაზე ლაპარაკიც არ არის. მას შეუძლია დაითხოვოს როგორც სეიმი, ისე სენატი. ამ მხრით ჩეხოსლოვაკების პრეზიდენტი უფრო უფლებამოსილია თავის საფრანგეთის კოლეგაზე.

გარდა ამისა პრეზიდენტს შეუძლიან სახალხო კრებას ერთ თვეში დაუბრუნოს აზრსაბუთის მოყვანით მიღებული კანონი. ეს არის პრეზიდენტული სუსპენსიური ვეტო. სახალხო კრებამ თუ ხელ-ახლა მიიღო დაბრუნებული კანონი, იგი გამოკვეყნებულ უნდა იქნეს, როგორც აზრისაც უნდა იყოს პრეზიდენტი.

დამახასიათებელია, რომ კანონში ყოველთვის უნდა იყოს ნათქვამი, თუ რომელმა მინისტრმა უნდა განახორციელოს იგი კანონს ხელს აწერენ პრეზიდენტი, მთავრობის თავმჯდომარე და მინისტრი, რომელსაც ევალება მისი განხორციელება.

მთავრობა პასუხის მგებელია მხოლოდ სეიმის წინაშე, რომელსაც შეუძლიან მას უნდობლობა გამოუცხადოს. მხოლოდ უნდობლობის გამოცხადებისთვის სეიმში სამი პირობაა აუცილებელი: უნდა დაესწროს ვველა დეპუტატთა უმრავლესობა, ხმა უნდა მისცეს დამსწრეთა უმრავლესობამ და კენჭის ყრას სახელდებითი უნდა იქნეს.

მაგრამ საინტერესოა ის არის, რომ უნდობლობის გამოცხადების წინადადებას თავდაპირველად ხელი უნდა მოაწეროს 100 დეპუტატმა მაინც (სულ დეპუტატია-300, სენატორი—150), იგი უნდა გადაეცეს კომისიას თავის აზრისა და დასკვნის წარმოსადგენათ რვა დღეში. მთავრობასაც შეუძლიან დასვას სეიმში საკითხი ნდობის გამოცხადების შესახებ. ამ შემთხვევაში სეიმი პირდაპირ განიხილავს მას კომისიაში გადაუცემლად. თუ სეიმმა გამოუცხადა უნდობლობა ან უარყო ნდობის გამოცხადების წინადადება, წარმოდგენილი მთავრობისაგან, მთავრობა უნდა გადადგეს.

კონსტიტუციის ძალით ადმინისტრაციული განკარგულების გამოცემა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული კანონის განსახორციელებლად და განსაზღვრული კანონის საზღვრებში. პრეზიდენტს მოადგილე ჰყავს. ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში მის მოადგილეობას ასრულებს მთავრობის თავმჯდომარე. პრეზიდენტის თანამდებობაზე ზედიზედ ორჯერ არ შეიძლება ვინმე აირჩეს. მაგრამ ეს შეზღუდვა არ ეხება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ზრეჟელ ზრეჟინტს, ე. ი. პროფ. მასარიკს, რომელიც დღეს შეიძლება ჩათვალოს ხალხის უფვირგვინო მეფედ.

საზოგადოდ კონსტიტუციის ზოგიერთი ადგილის განხილვა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო კონსტიტუციის შედგენის და მიღების დროს განსაკუთრებული როლი უთამაშნია მასარაკის დიდს პოლიტიკურ პიროვნებას. რაღა თქმა უნდა, მეტად საპატიო და დიდმნიშვნელოვანია მასარაკის პოლიტიკური, კულტურული და სხვაგვარი დამსახურება ჩეხიის განთავისუფლების საქმეში და თვით მის დღევანდელ ისტორიაში. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ დამსახურების ზეგავლენით დემოკრატიული კონსტიტუციის სისწორის დარღვევა დემოკრატიულ-რესპუბლიკანური თვალ-საზრისით, მეტი რომ არა ვთქვათ, შეუფერებელია.

როგორც ვთქვით, ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის პრეზი-

დენტს ძალიან დიდი უფლებები აქვს მითვისებული კონსტიტუციის ძალით. ამას ამტკიცებს მის უფლებათა ჩამოთვლა, რომელსაც შეიცავს § 64 და 103. პრეზიდენტი თავის მოქმედებისათვის პასუხისმგებელი არ არის. მის პოლიტიკურ მოქმედებისათვის პასუხს აგებს მთავრობა. პრეზიდენტი პასუხისმგებელია მხოლოდ ღალატისათვის. მას ამ შემთხვევაში ბრალს სდებს სეიმი, ასამართლებს სენატი. მას შეიძლება თანამდებობა ჩამოერთვას და მომავალში მისი დაკავების უფლება არ მიეცეს (§ 67).

თავისებურობას აძლევს ჩეხოსლოვაკური რესპუბლიკის კონსტიტუციას სავანგებო 24 წევრიანი ვამიტეტი, შემდგარი 15 დეპუტატისა და 8 სენატორისაგან, რომელიც ერთი წლით ირჩევა და მოქმედობს სახალხო კრების გაშვების, სესიების დასრულების თუ გადადების დროს. ამ კომიტეტს თითქმის ისეთივე უფლებები აქვს, როგორც სახალხო კრებას. ოღონდ არ შეუძლია აირჩიოს პრეზიდენტი, გამოაცხადოს ომი და სხ. სცემს მხოლოდ განკარგულებებს, რომელთაც ამტკიცებს შემდეგ სახალხო კრება ორი თვის განმავლობაში.

ამგვარი დაწესებულება, თუმცა ძალიან იშვიათად, იცის სხვა კონსტიტუციამაც. მაგ. მექსიკის კონსტიტუცია პარლამენტის დასვენების დროს აწესებს „მუდმივ დეპუტაციას“, რომელიც შესდგება 29 წევრისაგან (15 დეპუტატი, 14 სენატორი). მაგრამ ჩეხოსლოვაკიის სავანგებო კომიტეტის აგებულება და ბუნება, ვფიქრობთ, უფრო რთულია, ვიდრე მექსიკის მუდმივი დეპუტაციისა.

აგრეთვე აღსანიშნავია საკონსტიტუციო სსსამართლს დაწესება. მისი მოვალეობაა თვალყური ადევნოს და გადასჭრას რამდენად შეესაბამება ესა თუ ის კანონი კონსტიტუციას, მის ნაწილებს თუ შემცვლელ და შემავსებელ კანონებს. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ჩეხოსლოვაკური კონსტიტუცია შედარებით უბრალო წესს ამკვიდრებს კონსტიტუციის გადასინჯვისათვის. § 33 ამბობს, რომ ომის გამოცხადება, კონ-

სტიტუციის და მისი ნაწილების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ პალატების ყველა წევრთა $\frac{3}{5}$ -ის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

ხალხის საკანონმდებლო ინიციატივა არ არის მიღებული. არც რეფერენდუმის უფლებაა პირდაპირ აღიარებული. მაგრამ რაღაც რეფერენდუმის მაგვარი ხალხის შეკითხვა კი ხდება კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევაში:

თუ პარლამენტი უარყო მთავრობის კანონპროექტი, მთავრობას შეუძლიან დაადგინოს (მხოლოდ ერთხმად), რომ მოქალაქეთა საყოველთაო კენჭის ყრამ გადასწყვიტოს—გადაიქცეს თუ არა კანონად უარყოფილი კანონპროექტი (§ 46). ეს არ ეხება იმ კანონპროექტს, რომელიც სცვლის ან ავსებს კონსტიტუციას თუ მის ნაწილს. ცხადია, საკონსტიტუციო საკითხებში ხალხის შეკითხვა და დადასტურება ამა თუ იმ სახით უარყოფილია და კონსტიტუციის გადასინჯვის საქმე სავსებით სახალხო კრების ხელში რჩება.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კონსტიტუციაში შეუთავსებლობის საკითხს. რაც შეეხება სოციალურ უფლებას, მაზე თითქმის არაფერია ნათქვამი კონსტიტუციაში. ამ მხრით ის ძალიან განსხვავდება გერმანიის კონსტიტუციისაგან. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ჩეხოსლოვაკიაში დღეს მართვა-გამგეობის და კანონმდებლობის საქმე ხელთ უპყრია დემოკრატიულ და სოციალისტურ უმრავლესობას.

ცალკე აღნიშნული მუშათა პროფესიულ ეკონომიური კავშირის თავისუფლების უზრუნველყოფა. კერძო საკუთრების სარგებლობის შეზღუდვა მხოლოდ კანონით არის შესაძლებელი. აგრეთვე კერძო საკუთრების ჩამორთმევა შესაწყნარებელია კანონის ძალით და ანაზღაურებით, უკეთეს თვითონ კანონი არ ადგენს, რომ ანაზღაურება შეუძლებელია.

საქართველოსთვის დიდს ინტერესს წარმოადგენს ორი საკითხი, რომელიც ჩეხოსლოვაკურ კონსტიტუციაში გადაწყვეტილი და შემუშავებულია.

ერთია—შადკარპატსკი რუსის ავტონომია, რომელიც რესპუბლიკას ნებაყოფლობით შეუერთდა და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს. მეორეა—ეროვნულ უმცირესობათა უფლება, რომელიც საუკეთესოდ არის გადაჭრილი კონსტიტუციაში (იხ. მთელი მეექვსე თავი და „ენათა უფლების“ კანონი, რომელიც კონსტიტუციის ნაწილს შეადგენს). უნდა მოგახსენოთ, რომ არც პოდკარპატსკი რუსის ავტონომია და არც ეროვნულ უმცირესობათა უფლების აღიარება რესპუბლიკის უნიტარულ ხასიათს და მთლიანობას სრულებით არ არღვევს. და მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი იქ რამოდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულობის ძალითაც მოწესრიგდა (სენ-ეტიემენის ხელშეკრულება მოკავშირე სახელმწიფოებსა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1919 წ. სექტემბრის 10), ეროვნულ უმცირესობათათვის საჯარო-უფლებბრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არ მიუნიჭებიათ...

ჩებური ენიდან კონსტიტუციის ტექსტი რუსულად დამფ. კრების საკონსტიტუციო კომისიისთვის გადმოსთარგმნა ტფ. ჩეხოსლოვაკურ ნაციონალურ საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. ი. სვატოშმა, რომელიც განსაკუთრებული მადლობის ღირსია. ქართულად გადმოითარგმნა ბ. სვატოშის ხელთაწერიდან, რომელიც მისივე სურვილით გადაეცა საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკას.

პ. საყვარელიძე.

ჩვენ, ჩეხოსლოვაკურმა ხალხმა, მოვისურვეთ რა გაერო-
თიანების საბოლოოვო გამტკიცება, რესპუბლიკაში სამართლიან-
ნი სახელმწიფური წყობილების დამკვიდრება, სამშობლოს
მშვიდობიანი განვითარება, ჩვენი სახელმწიფოს ყველა მოქა-
ლაქის საერთო კეთილდღეობის ხელის შეწყობა და მომავალ
თაობათათვის თავისუფლების კურთხევა და სიკეთის უზრუნ-
ველყოფა, ჩვენ სახალხო კრებაში 1920 წ. თებერვლის 29-ს
მივიღეთ ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომ-
ლის ტექსტი მოყვანილია ქვემოთ.

ამასთანავე, ჩვენ, ჩეხოსლოვაკური ხალხი, ვაცხადებთ,
რომ გვსურს მოვიხმაროთ მთელი ძალ-ღონე, რათა ეს კონ-
სტიტუცია და ჩვენი სახელმწიფოს ყველა კანონი პრაქტი-
კულად განხორციელდეს თანახმად ჩვენი ისტორიისა და თა-
ნამედროვე პროგრესიულ იდეებისა, რომელთაც შეიცავს
თვითგამორკვევის პრინციპი; ვინაიდან ჩვენ გვსურს შევიღეთ
ერთა საზოგადოებაში როგორც მისი კულტურული, მშვიდო-
ბიანი, დემოკრატიული და პროგრესიულათ განწყობილი თა-
ნაწევრი.

1920 წლის თებერვლის 29-ს კანონი,

რომელიც ამტკიცებს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის კონსტი-
ტუციას.

სტატია I.

1. ყველა კანონი, რომელიც კონსტიტუციას, მის
ცალკე ნაწილს თუ მის შემცველ და შემავსებელ კანო-
ნებს ეწინააღმდეგება, გაუქმებულია.

2. კონსტიტუცია და მისი ცალკე ნაწილები შეიძლება
შეიცვალოს ან შეიფოს მხოლოდ იმ კანონებით, რომელთაც
კონსტიტუციის ძალა ეძლევათ (§ 33).

სტატია II.

საკონსტიტუციო სასამართლო სწევეტს საკითხს, თუ რამდენად შეეფერება I სტატიის პრინციპს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის და პოდკარპატსკი რუსის სეიმის მიერ გამოცემული კანონი.

სტატია III.

1 საკონსტიტუციო სასამართლო შესდგება შეიდი წევრისაგან. ამ სასამართლოს ორ წევრს ირჩევს უმაღლესი სააღმინისტრაციო სასამართლო, ორს უმაღლესი სასამართლო. დანარჩენ წევრთ და თავმჯდომარეს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

2. განსაკუთრებული კანონი საზღვრავს იმას თუ როგორ ირჩევს ორივე ზემოდ დასახელებული სასამართლო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, რა ვადით მოქმედებს ეს სასამართლო, როგორია მისი მოქმედების წესი და რა შედეგი აქვს მის განაჩენს.

სტატია IV.

1. სახალხო კრების ახლანდელი შემადგენლობის რწმუნებულობა რჩება ძალაში, ვიდრე დეპუტატთა სეიმი და სენატი არ შესდგება.

2. ახლანდელ სახალხო კრების მიერ მიღებული კანონი რომელიც არ გამოქვეყნებულა დეპუტატთა სეიმის და სენატის მოწვევამდე, საზოგადოთ აღარ უნდა გამოქვეყნდეს, უკეთურ რესპუბლიკის პრეზიდენტმა დიუბრუნა ის სახალხო კრებას.

3. რაც შეეხება რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლების განსახიერებლად დროებითი კონსტიტუციით დადგენილ ვადას და მიღებული კანონის გამოქვეყნების ვალდებულებას, ძალაში რჩება დროებითი კონსტიტუციის სათანადო დადგენილებანი ახლანდელი სახალხო კრების მიერ მიღებულ კანონთათვის.

სტატია V.

რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტი თავის მოვალეობას ასრულებს, ვიდრე არ მოხდება ახალი არჩევნები. დღი-

დან კონსტიტუციის ძალაში შესვლისა, პრეზიდენტს ენიჭება კონსტიტუციაში განსაზღვრული უფლებები.

სტატია VI.

ვიდრე არ აირჩევა სეიმის და სენატის ყველა წევრი, კანონიერი, კონსტიტუციით დადგენილ ქვორუმის შესადგენად მხედველობაში მიიღება მხოლოდ უკვე არჩეულ წევრთა რიცხვი.

სტატია VII.

1. რაც აღნიშნულია I, II, III და VI სტატიაში, შეადგენს კონსტიტუციის ნაწილს თანახმად § 33-ისა.

2. ყველა სხვა კანონი, რომლის განხორციელებას გულისხმობს კონსტიტუცია მის ნაწილად არ ითვლება, უკეთეს კონსტიტუციაში არ არის ამის შესახებ განსაკუთრებული დადგენილება.

სტატია VIII.

1. ქვემოთ მოყვანილი კონსტიტუცია ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

2. კონსტიტუციის § 20 არ ეხება ახლანდელ სახალხო კრების წევრებს.

სტატია IX.

მე-VIII სტატიის პირველ მუხლში აღნიშნულ დღეს უფლებრივ ძალას ჰქარგავს ყველა დადგენილება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კონსტიტუციის და სახელმწიფოს რესპუბლიკანურ წყობილებას. აგრეთვე ჰქარგავს უფლებრივ ძალას ყველა წინანდელი საკონსტიტუციო კანონი, იმ შემთხვევაშიაც, როცა მათა აზრი პირდაპირ არ ეწინააღმდეგება ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის საკონსტიტუციო კანონებს.

სტატია X.

ეს კანონი ძალაში შედის კონსტიტუციასთან ერთად და მას ისე როგორც კონსტიტუციას, ანხორციელებს მთავრობა.

ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის კონსტიტუცია

თავი პირველი

ზოგადი დამკვიდრება

§ 1.

1. ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკაში მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ერთად ერთი წყარო არის ხალხი.

2. კონსტიტუცია საზღვრავს, უზენაესი ხელისუფლების მპყრობელი—ხალხი რომელ ორგანოების საშუალებით ანხორციელებს თავის უფლებებს, როგორ სცემს თავისთვის კანონებს და როგორ ანსახიერებს მათ ცხოვრებაში. ის საზღვრავს აგრეთვე პირობებს, რომელთაც ვერ გადალახავს ეს ორგანოები კონსტიტუციით უზრუნველყოფილ მოქალაქობრივ უფლებათა დაურღვევლათ.

§ 2.

ჩეხოსლოვაკური სახელმწიფო არის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის მეთაურია არჩეული პრეზიდენტი.

§ 3.

1. ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის ტერიტორია წარმოადგენს ერთიან და განუყოფელ მთელს, რომლის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს კონსტიტუციაში შესულ კანონით (I სტატია კონსტიტუციის ძალაში შესვლის კანონისა).

2. ნებაყოფლობითი შემოერთების ძალით, რომელიც ემყარება ხილშეკრულობას, დადებულს დიდს მოკავშირე სახელმწიფოთა და ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის შორის 1919 წ. სექტემბრის 10-ს სენეერმენში, ამ ტერიტორიალურ მთელის განუყოფელ ნაწილს შეადგენს პოდკარპატსკი რუსის ავტო-

ნომიური ტერიტორია. პოლკარპატსკი რუსს მიეცემა ფართო ავტონომია, რომელიც არ დაარღვევს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის მთლიანობას.

3. პოლკარპატსკი რუსს ჰყავს საკუთარი სეიმი, რომელიც ირჩევს თავის პრეზიდენტს.

4. პოლკარპატსკი რუსის სეიმს მინიჭებული აქვს უფლება გამოსცეს კანონები შესახებ ენისა, სახალხო განათლებისა, სარწმუნოებრივ და ადგილობრივ თვითმართველობის საკითხებისა და ყველა იმ საქმეებისა, რომელთა განხილვა და გაძღოლა გადაეცემა მას ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის კანონებით. პოლკარპატსკი რუსის სეიმის მიერ მიღებული კანონი, თუ მას ადასტურებს პრეზიდენტი თვისი ხელმოწერით, ქვეყნდება საგანგებო კრებულში. მას აგრეთვე ხელს აწერს გუბერნატორიც.

5. პოლკარპატსკი რუსი წარმოდგენილი უნდა იქნეს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის სახალხო კრებაში დეპუტატთა და სენატორთა სათანადო რიცხვით, ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის საარჩევნო კანონის მიხედვით.

6. პოლკარპატსკი რუსის მართველობის სათავეში სდგას გუბერნატორი, რომელსაც, მთავრობის წინადადებით, ნიშნავს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის პრეზიდენტი და რომელიც პასუხისმგებელია პოლკარპატსკი რუსის სეიმის წინაშე.

7. პოლკარპატსკი რუსის სახელმწიფო მოხელენი, შეძლების დაგვარად, აირჩევიან ადგილობრივ მკვიდრთაგან.

8. დაწერილებით, საკუთრივ აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლების შესახებ, განსაზღვრავს საგანგებო დადგენილება.

9. სახალხო კრების კანონი, რომელიც დააწესებს პოლკარპატსკი რუსის საზღვრებს, შევა კონსტიტუციაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

§ 4.

1. ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკაში ერთი და განუყოფელი მოქალაქეობაა.

2. რესპუბლიკის მოქალაქეობის მოპოვების და დაკარგვის პირობებს და მათ შედეგებს განსაზღვრავს განსაკუთრებული კანონი.

3. უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი არ შეიძლება იქნეს ერთსა და იმავე დროს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის ქვეშევრდომად.

§ 5.

1. ჩეხოსლოვაკური რესპუბლიკის დედაქალაქი არის პრაგა.

2. რესპუბლიკის ფერებია: თეთრი, წითელი და ლურჯი.

თ ა ვ ი მ ე ო რ ა ე

საკანონმდებლო ხელისუფლება. სახალხო კრების და მისი პალატის შემადგენლობა და კომპეტენცია.

§ 6.

1. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე საკანონმდებლო ხელისუფლებას ანხორციელებს სახალხო კრება, რომელიც შემდგება ორი პალატისაგან: დეპუტატთა სეიმი და სენატი.

2. ორივე პალატის სამყოფი ადგილია პრაგა. მაგრამ, თუ აუცილებელი გახდა, მათი მოწვევა დროებით შეიძლება ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის სხვა ადგილასაც.

§ 7.

1. ადგილობრივ სემიმა (ბოლემია, მორავია, სილეზია) საკანონმდებლო და ადმინისტრატიული მოქმედება გაუქმებულია.

2. სახალხო კრების მიერ მიღებულ კანონს ძალა აქვს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, თუ თვითონ კანონში სხვაფრივ არ არის აღნიშნული.

§ 8.

დეპუტატთა სეიმში (ქვედა პალატა) არის 300 წევრი, არჩეული საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, საიდუმლო

და პროპორციული კენჭისყრით. არჩევნები სწარმოებს კვირა დღეს.

§ 9.

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი და რომელიც აკმაყოფილებს ყველა დანარჩენ, სემში არჩევის წესთა გამსაზღვრელ პირობას.

§ 10.

პასიური საარჩევნო უფლება აქვს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც 30 წელი მაინც შესრულებია და რომელიც აკმაყოფილებს ყველა დანარჩენ, სემში არჩევის წესთა გამსაზღვრელ პირობას.

§ 11.

სემის საარჩევნო ვადა არის ექვსი წელიწადი.

§ 12.

დაწვრილებით საარჩევნო უფლების განხორციელების და არჩევნების წარმოების შესახებ აღნიშნულია სემის საარჩევნო წესდებაში.

§ 13.

სენატი შესდგება 150 წევრისაგან. სენატორები ირჩევიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, საიდუმლო და პროპორციული კენჭისყრით. არჩევნები სწარმოებს კვირა დღეს.

§ 14.

აქტიური საარჩევნო უფლება სენატის არჩევნებში აქვს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც შეუსრულდა 26 წელი და რომელიც აკმაყოფილებს სენატის უფლებამოსილების და შემადგენლობის კანონის ყველა დანარჩენ პირობას.

§ 15.

პასიურ საარჩევნო უფლებას სენატის არჩევნებში სარგებლობს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, რომელსაც

საც შეუსრულდა 45 წელი და რომელიც აკმაყოფილებს სენატის უფლებამოსილების და შემადგენლობის კანონის ყველა დანარჩენ პირობას.

§ 16.

სენატის საარჩევო ვადა გრძელდება რვა წელიწადი.

§ 17.

საარჩევნო უფლების განხორციელების და არჩევნების წარმოების დაწვრილებით განმარტებას შეიცავს განსაკუთრებული კანონი სენატის უფლებამოსილებისა და შემადგენლობის შესახებ.

§ 18.

არავის აქვს უფლება ერთსა და იმავე დროს ორივე პალატის წევრი იყოს.

§ 19.

1. სარჩევნო სასამართლო სწყვეტს სეიმის და სენატის არჩევნების კანონიერების საკითხს.

2. დაწვრილებით განსაზღვრავს კანონი.

§ 20.

1. თუ სახალხო კრებაში არჩეულმა სახელმწიფო სამსახურში მყოფმა პირმა დაწესებული აღთქმა დასდო, როგორც მისმა წევრმა, იგი, ვიდრე სახალხო კრების წევრია, სამსახურიდან დროებით განთავისუფლებულად ითვლება. ამასთან არ ეკარგება უფლება სამსახურის აღგილას ჯამაგირის მიღებისა, გარდა დანამატისა. აგრეთვე ენახება უფლება ნამსახურობისა. უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორები თავისუფლდებიან ერთი წლით. თუ ისინი ისარგებლებენ ამ უფლებით, მათ შეეხება ყოველივე ის, რაც ნათქვამია სახელმწიფო სამსახურში მყოფ ზირზე.

2. საზოგადოებრივ სამსახურში მყოფ პირს, ვიდრე სახალხო კრების წევრად ითვლება, უფლება აქვს დროებით განთავისუფლებისა (შვებულებისა).

3. სახალხო კრების წევრი შეიძლება დაინიშნოს ჯამა-

ვირიან სახელმწიფო თანამდებობაზე მხოლოდ წლის შემდეგ სახალხო კრების წევრობის თავის დანებებისა.

4. ეს დადგენილება არ ეხება მინისტრებს. წინა მუხლში ნაჩვენები შეზღუდვა არ ეხება იმ დეპუტატს (სენატორს), რომელიც სახელმწიფო სამსახურში იყო სახალხო კრებაში არჩევამდის, იმ პირობით კი, რომ ის დარჩება იმავე დარგის სამსახურში.

5. სახალხო კრების წევრად ვერ იქნება ეჟუანი¹⁾ და მაზრის უფროსი.

6. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, საარჩევნო სასამართლოს ასესორს და საეჟუპო (საერობო) წარმომადგენლობის წევრს არ შეუძლიან იყოს ერთსა და იმავე დროს სახალხო კრების წევრად.

§ 21.

პალატების წევრს ყოველთვის შეუძლიან უარი სთქვას რწმუნებულებაზე.

§ 22.

1. სახალხო კრების წევრი თავის დავალებასა და რწმუნებულობას ასრულებს პირადათ; მას არ აქვს უფლება იმოქმედოს ვისიმე მინდობილობით.

2. მან არ უნდა მიმართოს მთავრობის დაწესებულებას ვისიმე კერძო ინტერესების დასაცველად და მაზრის დასაქვრად. ეს შეზღუდვა არ ეხება სახალხო კრების წევრს, თუ მიმართვა სახელისუფლო დაწესებულებისადმი მოასწავებს მისი კანონიერი უფლების განხორციელებას.

3. სიემის პირველ სხდომაზე დეპუტატი სდებს შემდეგს ალთქმას: „ალთქმას ვსდებ, რომ ვიქნები ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის ერთგული, დავიცავ მის კანონებს და ჩემს რწმუნებულებას შევასრულებ მთელი ჩემი ცოდნის მოხმარით სი-

¹⁾ ეჟუანი—ადმინისტრაციის უფროსი, გუბერნატორი. ეჟუა იყო და მაზრებად.

ნიღისისამებრ“. ამ აღთქმაზე უარის თქმა ან აღთქმის დადება რაიმე პირობით და აღნიშვნით, იწვევს რწმუნებულების დაუყოვნებლივ დაკარგვას.

§ 23.

სახალხო კრების წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა პალატაში ან მის კომისიაში მოვალეობის ასრულების დროს ნათქვამი სიტყვებისათვის. ის პასუხს აგებს მხოლოდ თავის პალატის წინაშე დისციპლინარული წესით.

§ 24.

1. გაუფრთხილებლობისა თუ სხვაგვარი მოქმედებისათვის სახალხო კრების წევრის წინააღმდეგ რაიმე სამოსამართლო თუ დისციპლინარულ დევნის დასაწყებად აუცილებელია სათანადო პალატის თანხმობა.

2. ეს დადგენილება არ ეხება იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც ატარებს სახალხო კრების წევრი, როგორც პასუხისმგებელი რედაქტორი.

§ 25.

თუ რომელიმე პალატის წევრს მიასწრეს ზედ დანაშაულის ჩადენაზე და იგი შეიპყრეს, სასამართლომ ან სხვა სათანადო დაწესებულებამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეს ამბავი პალატის თავმჯდომარეს. ვინცობაა პალატა ან, თუ მას სხდომები შეწვეტილი აქვს, § 54-ის ძალით არჩეული კომიტეტი არ არის თანახმა განგრძობილ იქნეს დეპუტატის შეპყრობა, იგი თავისუფლდება დაუყოვნებლივ. თუ კომიტეტი თანახმაა მისი შეპყრობა განგრძობილ იქნეს, ამის შესახებ პალატამ უნდა გამოიტანოს თავის გადაწყვეტალება სხდომების დაწყების შემდეგ თოთხმეტს დღეში.

§ 26.

თვითთული პალატის წევრს აქვს უფლება ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას, როგორც დეპუტატს, გაანდევს. ამის უფლება აქვს მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება. გამონაკლისია ის შემთხვევა, რომე-

ლიც ეხება დეპუტატის წამქეზებლობას რწმუნებულების ბოროტ მოსახმარებლად.

§ 27.

სახალხო კრების წევრს უფლება აქვს გასამრჯელოსი, რომლის რაოდენობას დააწესებს კანონი.

§ 28.

1. რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია მოიწვიოს ორივე პალატა ჩვეულებრივ ორ სესიად—გაზაფხულზე და შემოდგომაზე. გაზაფხულის სესია იწყება მარტში, შემოდგომის—ოქტომბერში.

2. გარდა ამისა საკაროების დროს პრეზიდენტი იწვევს პალატებს საგანგებო სესიებისათვის. თუ სემის ან სენატის წევრთა უმრავლესობა მიმართავს მთავრობის თავმჯდომარეს პალატების მოწვევის წინადადებით და განსახილველ საგნის ჩვენებით, პრეზიდენტი ვალდებულია მოიწვიოს პალატები იმ ვარაუდით, რომ განცხადების შემდეგ არ უნდა გავიდეს 14 დღეზე მეტი. თუ პრეზიდენტმა ეს არ ჰქნა, მაშინ პალატები თვითონ იკრიბებიან შემდეგი თოთხმეტი დღის განმავლობაში თვის თავმჯდომარეთა მოწოდებით.

3. თუ უკანასკნელი ჩვეულებრივი სხდომის დღიდან გავიდა 4 თვე მაინც, ერთი რომელიმე პალატის წევრთა $\frac{2}{3}$ -დის სურვილისამებრ, რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია მოიწვიოს პალატები იმ ვარაუდით, რომ შეიკრიბონ განცხადებიდან 14 დღეში. თუ პრეზიდენტმა ეს არ ჰქნა, პალატები თვის თავმჯდომარეთა მოწოდებით შეიკრიბებიან შემდეგი 14 დღის განმავლობაში.

§ 29.

პალატების სესია ყოველთვის ერთსა და იმავე დროს იწყება და თავდება.

§ 30.

1. რესპუბლიკის პრეზიდენტი აცხადებს სესიას დასრულებულად.

2. მას შეუძლიან მისი გადადება სულ დიდი ერთი თვით და მხოლოდ ერთხელ წელიწადში.

§ 31.

1. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს პალატები დაითხოვოს.

2. ამ უფლებით მას არ შეუძლიან ისარგებლოს თავის საპრეზიდენტო ვადის უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში. საარჩევნო ვადის გასვლისას, აგრეთვე რომელიმე პალატის დათხოვისას, ახალი არჩევნები უნდა მოხდეს სამოცი დღის ვადაში.

3. სენატის დათხოვით არ ისპობა სამოსამართლო გამოძიება, რომელიც დაწყებულია §§ 67 და 79 ძალით.

§ 32.

თვითეულ პალატას აქვს უფლება მიიღოს კანონიერი დადგენილება, მხოლოდ წევრთა უკანასკნელი ერთი მესამედის თანადასწრებით, უკეთუ კონსტიტუცია არ აღიარებს სხვაგვარი შემადგენლობის აუცილებლობას. გადაწყვეტილების კანონიერებისათვის აუცილებელია, რომ მას ხმა მისცეს დამსწრეთა უმრავლესობამ.

§ 33.

ომის გამოცხადების და კონსტიტუციისა და მის ნაწილთა შეცვლისათვის აუცილებელია ორივე პალატის ყველა წევრთა $\frac{3}{5}$ -დის უმრავლესობის დადგენილება.

§ 34.

1. სეიმის დადგენილება პრეზიდენტის, მთავრობის თავმჯდომარის და მის წევრთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ $\frac{2}{3}$ უმრავლესობით და წევრთა $\frac{2}{3}$ თანადასწრებით.

2. სენატის, როგორც სასამართლოს, მოქმედების წესს იმუშავებს კანონი.

§ 35.

თვითეული პალატა თვითონ ირჩევს თავის პრეზიდენტს და სხვა სათანადებო პირთ.

§ 36.

სეიმის და სენატის სხდომები საჯაროა. კარდახურული სხდომა შესაძლებელია მოხდეს რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევაში.

§ 37.

1. პალატათა მოქმედების ძირითადი პრინციპი, მათი ურთიერთშორის დამოკიდებულება და კავშირი მთავრობასთან, აგრეთვე საგარეო ურთიერთობის წესი, საკონსტიტუციო დებულებათა ფარგლებში ისაზღვრება კანონით. შინაურ საქმეებში თვითეული პალატა ხელმძღვანელობს რეგლამენტს, რომელსაც თავისთვის ადგენს.

2. ვიდრე სეიმი და სენატი არ შეიმუშავენ თავის ახალს რეგლამენტს, მათთვის სავალდებულოა ახლანდელ სახალხო კრების მიერ შემოღებული რეგლამენტი.

§ 38.

1. თუ პალატები მართავენ შეერთებულ სხდომას, როგორც სახალხო კრებას (§§ 56, 59, 61, 65), ასეთ სხდომაზე ხელმძღვანელობენ სეიმის რეგლამენტს.

2. ამ შეერთებულ სხდომას იწვევს მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო ხელმძღვანელობს სეიმის თავმჯდომარე.

3. სენატის თავმჯდომარე არის მისი თანაშემწე.

§ 39.

მინისტრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თვითეულ პალატის და ყოველი კომისიის სხდომებში. თუ მოითხოვს, მას უნდა მიეცეს სიტყვა.

§ 40.

1. თუ რომელიმე პალატა ან მისი კომისია მოისურვებს, მინისტრი ვალდებულია დაესწროს მათ სხდომას.

2. სხვა შემთხვევებში თავის მაგიერად მინისტრს შეუძლია გაგზავნოს თავის უწყების წარმომადგენელი.

§ 41.

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს მთავრობასა და თვითეულ პალატას.

2. რომელიმე პალატის წევრის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს დართული უნდა ჰქონდეს გასაველის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა ხარჯების დასაფარავი საშუალების აღნიშვნით.

3. მთავრობის სახარჯთაღრიცხვო და სამხედრო კანონპროექტი პირველად უნდა წარედგინოს სეიმს.

§ 42.

კანონმა რომ კონსტიტუციის ძალა მიიღოს, აუცილებელია შეთანხმებული გადაწყვეტილება ორივე პალატისა. ესევე შეეხება ყველა სხვა კანონს, რამდენად §§ 43, 44 და 48 არ ამყარებს სხვა წესს.

§ 43.

1. სენატი ვალდებულია თავის გადაწყვეტილება გამოიტანოს სეიმის მიერ მიღებულ კანონპროექტის შესახებ ექვს კვირაში, ხოლო სახარჯთაღრიცხვო და სამხედრო კანონპროექტის შესახებ ერთს თვეში. სეიმი ვალდებულია გამოიტანოს თავის გადაწყვეტილება სენატის მიერ მიღებულ კანონპროექტის შესახებ სამი თვის განმავლობაში.

2. ეს ვადა ითვლება იმ დღიდან, როცა დაბეჭდილი გადაწყვეტილება ერთი პალატისა გადაეცა მეორე პალატას. ვადა ორივე პალატის შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს ან შემოკლდეს. თვის ვადა, რომელიც სენატს აქვს მიცემული სამხედრო თუ სახარჯთაღრიცხვო კანონპროექტის განსახილველად, არ შეიძლება განგრძობილ იქნეს.

3. თუ გათავდა სარჩევნო ვადა პალატისა, რომელმაც უნდა განიხილოს მეორე პალატის დადგენილება, ან თუ პალატა დათხოვნილ იქნა, ან მისი სესია გადადებული, ან კიდევ მისი სხდომები დასრულებული, — ახალი ვადა იწყება მისი პირველი ახალი სხდომის დღიდან.

4. თუ ერთი პალატა ზემოდ დადგენილ ვადაში არ გამოიტანს გადაწყვეტილებას, ეს გარემოება ითვლება მეორე პალატის გადაწყვეტილების დედააზრის მოწონებად და თანხმობად.

§ 44.

1. სეიმის დადგენილება ძალაში შედის, მიუხედავად სენატის უარყოფითი გადაწყვეტილებისა, თუ კი სეიმი თავის წევრთა უმრავლესობით დაადგენს, რომ ადგია თავის პირველ გადაწყვეტილებას. მაგრამ თუ სენატმა უარჰყო სეიმის მიერ მიღებული პროექტი, თავის წევრთა $\frac{3}{4}$ -ის უმრავლესობით, პროექტი ხდება კანონად მაშინ, როცა სეიმი ხელახლა მიიღებს თავის წევრთა $\frac{3}{5}$ -დის უმრავლესობით.

სენატის მიერ მიღებული კანონპროექტი გადაეცემა სეიმს. თუ სეიმი მას უარყოფს, ხოლო სენატი თავის პირველ გადაწყვეტილებას დაადასტურებს თავის წევრთა უმრავლესობით, იგი პროექტს ხელახლა გადასცემს სეიმს განსახილველად. თუ სეიმი მეორეჯერ უარყოფს სენატის პროექტს თავის წევრთა უმრავლესობით, იგი პროექტი კანონის ძალას არ ღებულობს.

3. ამგვარათ უარყოფილი პროექტი ხელახლა არ შეიძლება წარედგინოს პალატას ერთი წლის განმავლობაში.

4. როცა ერთი პალატა ნაწილობრივ შეცვლის მეორე პალატის დადგენილებას, ეს უდრის პროექტის უარყოფას.

§ 45.

თუ რომელიმე პალატამ ხელახლა უნდა გამოიტანოს დადგენილება კანონპროექტზე, რომელიც მან ერთხელ უკვე მიიღო, ან ხელახლა უნდა განიხილოს მეორე პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი (§ 44, მუხლი 2), და თუ ამისობაში პალატა დათხოვნილია ან მისი საარჩევნო ვადა გავიდა, ვიდრე დადგენილებას გამოიტანდა, მისი ახალი გადაწყვეტილება საკითხზე ითვლება, § 44 თანახმად, მეორედ გამოტანილ გადაწყვეტილებად.

§ 46.

1. თუ სახალხო კრებამ უარჰყო მთავრობის კანონპროექტი, მთავრობას შეუძლია დაადგინოს, რომ ყველა მოქალაქის კენჭის ყრით გადაწყდეს საკითხი—გახდეს თუ არა კანონი.

ნად უარყოფილი კანონპროექტი. მთავრობის დადგენილება მიღებულ უნდა იქნეს ერთხმად.

2. ხმის უფლება ეკუთვნის ყველას, ვისაც აქვს უფლება სეიმის არჩევნებში მონაწილეობისა.

3. დაწვრილებით განსაზღვრავს კანონი.

4. მოქალაქეთა კენჭის ყრა არ შეიძლება დაშვებულ იქნეს მთავრობის იმ კანონპროექტისათვის, რომელიც სცვლის ან ავსებს კონსტიტუციას თუ მის ნაწილებს.

§ 47.

რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს დაუბრუნოს სახალხო კრებას მის მიერ მიღებული კანონი ერთი თვის განმავლობაში. ვადა ითვლება იმ დღიდან, როცა სახალხო კრების დადგენილება გადაეცა მთავრობას.

§ 48.

1. თუ ორივე პალატა სახელობითი კენჭის ყრით მიიღებს დაბრუნებულ კანონს თავის წევრთა უმრავლესობით, კანონი გამოქვეყნებულ უნდა იქნას.

2. ვინიცობაა ასეთი შეთანხმებული უმრავლესობა არ მიემხრო დაბრუნებულ კანონს ორივე პალატაში, იგი მაინც გამოქვეყნებულ უნდა იქნეს, თუ მეორედ სახელობითი კენჭის ყრით სეიმში მას მხარი დაუჭირა ყველა წევრთა $\frac{3}{5}$ -მა.

3. თუ საქმე ეხება ისეთ კანონს, რომლის მისაღებად აუცილებელია წევრთა საგანგებოთ დაწესებულ რაოდენობის დასწრება და საგანგებოთ დაწესებული უმრავლესობა, მაშინ საჭიროა, რომ დაბრუნებული კანონი მიღებულ იქნეს წევრთა საგანგებოთ დაწესებულ რაოდენობის თანდასწრებით და საგანგებოთ დაწესებული უმრავლესობით.

§ 49.

1. კანონი რომ ძალაში შევიდეს, საჭიროა იგი გამოქვეყნებულ იქნეს კანონით განსაზღვრული წესით.

2. გამოქვეყნებული კანონი იწყება ამგვარი წინადადებით: „ჩვენსლოვაკური რესპუბლიკის სახალხო კრებამ მიიღო შემდეგი კანონი.“

3. კანონი უნდა გამოქვეყნდეს რვა საქმიანი დღის განმავლობაში § 47 მიერ დაწესებულ ვადის გასვლიდან. მაგრამ თუ პრეზიდენტი ისარგებლებს თავის, იმავე § 47-ში აღნიშნულ უფლებას, კანონი უნდა გამოქვეყნდეს რვა საქმიანი დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სახალხო კრების მეორე დადგენილება (§ 48) ეცნობა მთავრობას.

§ 50.

ყოველ კანონში აღნიშნული უნდა იყოს მთავრობის რომელი წევრია ვალდებული განახორციელოს იგი.

§ 51.

1. კანონს ხელს აწერენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის თავმჯდომარე და მინისტრი, რომელსაც მინდობილი აქვს მისი განხორციელება. თუ პრეზიდენტს თავისუფალი დრო არ აქვს ან ავადმყოფია და არ ჰყავს მოადგილე, მის მაგიერად ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე.

2. კანონის ხელის მოწერის დროს მთავრობის თავმჯდომარის მაგიერობის გაწევა შესაძლებელია § 71-ში აღნიშნული წესით.

§ 52.

1. თვითეულ პალატას უფლება აქვს შეკითხვა შეიტანოს მთავრობის თავმჯდომარისა და მისი წევრებისადმი, გამოკვლიოს მთავრობის მოქმედების კანონიერება, აირჩიოს კომისია, რომელსაც მთავრობამ უნდა მიაწოდოს ყველა საჭირო მოთხოვნილი ცნობები, გამოიტანოს დადგენილებანი და რეზოლიუცია.

2. მთავრობის თავმჯდომარე და წევრნი ვალდებულინი არიან პალატის წევრთ შეკითხვაზე პასუხი გასცენ.

§ 53.

სახელმწიფო საფინანსო მეურნეობის და სახელმწიფო ვალის კონტროლის წარმოება ისაზღვრება ცალკე კანონით.

§ 54.

1. რომელიმე პალატის დათხოვის მის საარჩევნო ვადის გათავებისა და ახალ სესიას შუა, შემდეგ სხდომების გადაღე-

ბის ან დასრულების დროს აუცილებელ განკარგულებას ახდენს, იმ შემთხვევაშიც, რომ სხვა პირობებში ამისთვის კანონის გამოცემა უოფილიყო საჭირო, და აღმასრულებელ ხელისუფლების კანტროლს ინხორციელებს განსაკუთრებული ოცდაოთხ წევრიანი კომიტეტი. ამ კომიტეტში სეიმი ირჩევს 16 წევრს და იმდენივე მოადგილეს, ხოლო სენატი 8 წევრს და იმდენივე მოადგილეს—ყოველთვის ერთი წლის ვადით. კომიტეტის თვითეულ წევრისთვის მოადგილე ირჩევა ცალკე.

2. კომიტეტის პირველი არჩევნები ხდება მაშინვე, როგორც კი მოეწეება ორივე პალატა. ორივე პალატის პრეზიდენტის წევრი ამ კითხვაში ხის აძლევენ. როცა რომელიმე პალატის არჩევნები დასრულებულია, ახლად დაფუძნებული პალატა, ადრე არჩეულ წევრთ ვადაც რომ არ გასლოდესთ, მინც ირჩევს კომიტეტის წევრებს.

3. არჩევნები სწარმოებს პროპორციულ წარმომადგენლობის პრინციპისამებრ. პარტიათა შეთანხმება შესაწყნარებელია. თუ ყველა მხარე შეთანხმებულია, არჩევნები ხდება საერთო პლენარულ სხდომაზე. ამას ვერ შეუშლის ხელს დეპუტატთაან სენატორთა პროტესტი, თუ პირველთა რიცხვი 20 არ აღემატება, ხოლო მეორეთა 10.

4. კომიტეტის წევრი უფლებით აღჭურვილნი არიან, ვიდრე არ იქნებიან არჩეულნი ახალი წევრნი. მოადგილე თანამდებობის ასრულებას შეუდგება იმ წევრის მაგიერ, რომელსაც მუდმივ ან განსაზღვრულ ვადით არ შეუძლია თავის მოვალეობის ასრულება. თუ რომელიმე წევრი ან მოადგილე გამოვა კომიტეტიდან საარჩევნო ვადის გასვლამდე, განთავისუფლებულ ადგილზე ახალს ირჩევენ დარჩენილი ვადისათვის. ახლად არჩეული წევრი უნდა ეკუთვნოდეს იმავე პარტიას, როგორსაც მისი წინამოადგილე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარტია არ წამოაყენებს თავის კანდიდატს ან უარს იტყვის არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე.

5. მთავრობის წევრს არ შეუძლია იყოს არც კომიტეტის წევრად, არც მის მოადგილედ.

6. როგორც კი აირჩევა კომიტეტი, ის ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მეორე ამხანაგს სეიმის წევრთაგან, ხოლო თავმჯდომარის პირველ ამხანაგს სენატის წევრთაგან.

7. კომიტეტის წევრებს ეხება ყოველივე აღნიშნული კონსტიტუციის § 23—27-ში.

8. კომიტეტის კომპეტენცია ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც ეხება სახალხო კრების საქანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების მოქმედებას, მაგრამ მას არა აქვს უფლება:

ა) აირჩიოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ან მისი მოადგილე;

ბ) შეცვალოს კონსტიტუციაში შესული კანონები და მთავრობის დაწესებულებათა კომპეტენცია, უკეთეს საქმე არ ეხება უკვე არსებულ დაწესებულებათა მოქმედების (გაფართოებას მათზე ახალი მოვალეობის დაკისრებით;

გ) დააკისროს რესპუბლიკის მოქალაქეთ ხანგრძლივ ახალი საფინანსო ტვირთი, გააერცულოს სამხედრო ბეგარა, დატვირთოს ხანგრძლივ სახელმწიფო ფინანსები ან გაასხვისოს სახელმწიფო ქონება;

დ) მისცეს დასტური ომის გამოცხადებას;

9. გამოცემა განკარგულების, რომლის გატარება სხვა შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ კანონის გზით, ან გაღება ხარჯისა და გასამრჯელოსი, რომელიც სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვაში არაა გატარებული, შესაძლებელია მხოლოდ კომიტეტის ყველა წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

10. ყველა დანარჩენ შემთხვევაში დადგენილების გამოსატანად საკმაოა კომიტეტის ყველა წევრთა ნახევრის დასწრება და თანხმობა დამსწრეთა უმრავლესობის თავმჯდომარე ხმის აძლევს მხოლოდ, თუ ხმები გაიყო თანასწორად.

11. გამოცემა აუცილებელი და გადაუდებელი განკარ-

გულებისა, რომელიც სხვა პირობებში კანონით გამოიკეზოდა შესაწყენარებელია მხოლოდ მაშინ, თუ მთავრობიდან გამოდის და თუ მთავრობის აზრს იწონებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

12. წინა მუხლში, ნაჩვენებს კომიტეტის განკარგულებას კანონის დროებითი ძალა აქვს და იგი უნდა გამოქვეყნდეს კანონთა და განკარგულებათა კრებულში. მას ხელს აწერენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და აგრეთვე მინისტრთა ნახევარი მაინც. ის განკარგულება, რომელიც პრეზიდენტმა არ დაამტკიცა, არ უნდა იქნეს გამოქვეყნებულული.

13. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია ვრცელდება განკარგულებაზე, რომელიც სხვა შემთხვევაში უნდა გატარებულიყო კანონის გზით. ასეთი განკარგულება უნდა წარუდგინოს სასამართლოს მთავრობამ კანონთა და განკარგულებათა კრებულში პუბლიკაციასთან ერთად. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი ეთანხმება თუ არა განკარგულება 8 მუხლის დედა-აზრს.

14. კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე სეიმის და სენატის უახლოეს კრებას მოახსენებს კომიტეტის მოქმედებას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა უკვე აღარ ითვლება სეიმის ან სენატის წევრად;

15. განკარგულება, რომელსაც არ იწონებს ორივე პალატა ორი თვის ვადაში სხდომების დაწყებიდან, ჰკარგავს ძალას.

თ ა შ ი მ ე ს ა მ ი

ადმინისტრაციული ხელისუფლება.

§ 55.

ადმინისტრაციული განკარგულება შეიძლება გამოიკეს მხოლოდ განსაზღვრულ კანონის განსახორციელებლად და მხოლოდ მის ფარგლებში.

რესპუბლიკის პრეზიდენტი.

I

§ 56.

1. რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს სახალხო კრება (§ 38).

2. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც უფლება აქვს სიმში არჩევისა და შესრულება 35 წელი.

§ 57.

1. პრეზიდენტის კანონიერ არჩევებისთვის საჭიროა ყველა დეპუტატთა და სენატორთა უმრავლესობის დასწრება, და დამსწრეთა ხმების $\frac{2}{3}$ -ზე მეტის მიღება.

2. თუ კენჭის ყრამ ორჯელ ვერ გამოარკვია საბოლოო შედეგი, კენჭი უნდა ეყაროს ხელახლა ორ პირს, რომელთაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. არჩეულია ის, ვინც უმრავლესობა მიიღო. ხმათა თანასწორად გაყოფის დროს საკითხი წყდება წილის ყრით.

3. დაწვრილებით საზღვრავს კანონი.

§ 58

1. საარჩევნო ვადა იწყება იმ დღიდან, როცა ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა აღიქმა დასდვა დანახმად § 65

2. საარჩევნო ვადა გრძელდება შვიდი წელიწადი.

3. არჩევნები ხდება უკანასკნელი ოთხი კვირის განმავლობაში, ვიდრე გათავდება საარჩევნო ვადა თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტისა

4. არ შეიძლება ვინმე არჩეულ იქნეს პრეზიდენტად ზედი ზედ ორჯელმეტად. ვინც პრეზიდენტად იყო ორი უკანასკნელი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში, მას არ შეუძლია ხელახლა არჩეულ იქნეს, ვიდრე უკანასკნელი ვადის გასვლიდან არ გავა 7 წელიწადი. ეს არ ეხება ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს.

5. ყოფილი პრეზიდენტი რჩება თავის თანამდებობაზე, ვიდრე ახალი არ იქნება არჩეული.

§ 59

თუ პრეზიდენტი გარდაიცვლება ან დაანებებს თავს თანამდებობას საარჩევნო ვადის გასვლამდე, ხდება ახალი არჩევნები შემდეგი 7 წლისათვის 56 და 57 თანახმად. სახალხო კრება მოწვეულ უნდა იქნეს §§ (§ 38) ამ მიზნით 14 დღის ვადაში.

§ 60.

ვიდრე ახალი პრეზიდენტი არ არჩეულა ან როცა პრეზიდენტს ავადმყოფობის თუ სხვა მიზეზით არ შეუძლიან შეასრულო თავის მოვალეობა, მისი ასრულება ევალება მთავრობას, რომელსაც შეუძლია მიანდოს თავის თავმჯდომარეს პრეზიდენტის მოადგილეობის გაწევა.

§ 61.

1. თუ პრეზიდენტი ექვს თვეზე სხვა რომელიმე საქმით არის დატვირთული ან ავადმყოფობს (§ 60), მთავრობის დადგენილებით, რომელიც უნდა მოხდეს მის წევრთა $\frac{3}{4}$ თანდასწრებით, სახალხო კრება (§ 38) ირჩევს პრეზიდენტის მოადგილეს. უკანასკნელი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, ვიდრე შემაფერხებელი მიზეზები არსებობს.

2. როცა ვისმე არ შეუძლიან პრეზიდენტად იყოს თანახმად § 58, მას მაშინ არც მისი მოადგილეობა, შეუძლიან.

§ 62.

მოადგილის არჩევას იგივე კანონი აწესრიგებს როგორც პრეზიდენტის არჩევას.

§ 63.

1. რესპუბლიკის პრეზიდენტი არ არ შეიძლება იყოს ერთსა და იმავე დროს სახალხო კრების წევრი. თუ მის მოადგილედ არჩეულ იქნა სახალხო კრების წევრი, ვიდრე მოადგილედ უნდა მას არ შეუძლიან შეასრულოს სახალხო კრების წევრის წოდებასთან შეერთებული მოვალეობა.

2. პრეზიდენტის მთავარი სამყოფელი ადგილია ქ. პრაგა.

II

§ 64.

რესპუბლიკის პრეზიდენტი:

ა) წარმოადგენს რესპუბლიკაჲ საერთაშორისო ურთიერთობა-ში. სდებს და ამტკიცებს საერთაშორისო ხელშეკრულებით. კამერალური ხელშეკრულება, შემდეგ ისეთი ხელშეკრულო-ბა, რომელიც რესპუბლიკის მოქალაქეებს ადებს პიროდ, ქო-ნებრივ თუ სამხედრო ვალდებულებას, აგრეთვე ისეთი ხელ-შეკრულება, რომლის საგანს შეადგენს რესპუბლიკის ტერი-ტორიის შეცვლა, მოწონებულუნ და იქნეს სახალხო კრების მიერ. თუ საქმე სახელმწიფო ტერიტორიის შეცვლას ეხება, სახალხო კრების თანხმობა ღებულობს კანონის სახეს. ეს კანონი შეა-დგენს კონსტიტუციის ნაწილს (1 სტ. კონსტიტუციის შემო-მღები კანონისა).

ბ) ღებულოს და აძლევს რწმუნებლობის სიგელს ელ-ჩებს.

გ) აცხადებს სამხედრო წესებს, სახალხო კრების წინას-წარი თანხმობით აცხადებს ომს და უდგენს მას დასაბტკიცე-ბლად საზაფო ხელშეკრულებას.

დ) იწვევს და ითხოვს სახალხო კრებას (§ 28—31) სდებს სესიას და აცხადებს მას დასრულებულად.

ე) აქვს უფლება სახალხო კრების მიერ მიღებული კანო-ნი აზრსაბუთით დააბრუნოს (§ 47), ხელმოწერით დაამტკი-ცოს სახალხო კრების და პოკარპატსკი რუსის სენიის (§ 3) მიერ მიღებული კანონი და დადგენილება კომიტეტისა, რო-პელიც მოქმედობს § 54 ძალით.

ვ) აცნობებს სახალხო კრებას სიტყვიერათ თუ წერი-ლობით რესპუბლიკის მდგომარეობას და წარუდგენს საყურა-დღებოდ და განსახილველად იმ ზომას, რომელსაც აუცილე-ბული და მიზანწეწონილად სავლის:

ზ) ნიშნავს და ითხოვს მინისტრებს და. აწესებს მათ რაოდენობას;

3) ნიშნავს პროფესორებს, მოსამართლეებს, სახელმწიფო მოსამსახურეთ და ოფიცრებს 6 კლასის თანამდებობიდან დაწყებული.

თ) უნიშნავს პენსიას და აძლევს შემწეობას, მთავრობის წარდგენისამებრ;

ი) არის სახელმწიფოს მთელი სამხედრო ძალის უმაღლე სი, მთავარსარდალი;

კ) ანხორციელებს შეწყალების უფლების თანახმად § 103.

2) მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება, რამდენადაც იგი რესპუბლიკის პრეზიდენტს არა აქვს მინიჭებული ან არ მიენიჭება კონსტიტუციით თუ ჩეხო-სლოვაკურ რესპუბლიკის 1918 წ. ნოემბრის შემდეგ გამოცემული კანონით, ეკუთვნის მთავრობას.

III

§ 65.

რესპუბლიკის პრეზიდენტი სახალხო კრების წინაშე აღთქმას სდებს (§ 28), რომ პატიოსნებისა და სინიღისისამებრ იზრუნებს ხალხის და რესპუბლიკის კეთილდღეობაზე და დაცავს კონსტიტუციას და კანონს.

§ 66.

რესპუბლიკის პრეზიდენტი პასუხს არ აგებს თავის სათანამდებო მოქმედობისათვის. პასუხისმგებლობა მოქმედებისათვის იწვევს მთავრობას.

§ 67.

1. ის შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული მხოლოდ სამშობლოს ღალატისთვის სენატის წინაშე. ბრალმდებელია სეიმი (§ 34). სასჯელი შეიძლება იქნეს მხოლოდ ჩამორთმევა საპრეზიდენტო თანამდებობისა და უფლებისა, რომ მომავალში დაიკავოს ეს თანამდებობა.

2. დაწვრილებით განმარტავს კანონი.

§ 68.

პრეზიდენტის ყოველი წერილობითი წინადადება, მიმართული აღმასრულებელ ხელისუფლებისადმი. ძალაში რომ შევიდეს მთავრობის პასუხის მგებელ წევრის მიერ უნდა იქნეს ხელმოწერილი.

§ 69.

დებულება, რომელიც ეხება რესპუბლიკის პრეზიდენტს, ძალაშია პრეზიდენტის მოადგილის მიმართაც.

მთავრობა

§ 70.

1. მთავრობის თავმჯდომარეს და მის წევრებს ნიშნავს და ითხოვს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

2. მთავრობის ჩვეულებრივი სამყოფელი ადგილი არის ქ. პრაგა (§ 6, 2).

§ 71.

თავის წრიდან მთავრობა ირჩევს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც მის მაგიერობას სწევს. მოადგილემ რომ ვერ შესძლოს და ვერ შეუდგეს მისი მოვალეობის ასრულებას, ეს უნდა ჰქნას მთავრობის ყველაზე უხუცესმა წევრმა.

§ 72

პრეზიდენტი სწყვეტს მთავრობის რომელი წევრი რომელ სამინისტროს უნდა უძღვებოდეს.

§ 73.

მთავრობის წევრი პრეზიდენტის წინაშე პატიოსნებისა და სინიდასისამებრ აღთქმას სდებს, რომ თავის მოვალეობას კეთილდინდისიერათ და მიუდგომლად შეასრულებს და ყველა საკონსტიტუციო და სხვა ჩვეულებრივ კანონს დაიცავს.

§ 74.

მთავრობის არც ერთს წევრს არ აქვს უფლება იყოს შეზღუდულ პასუხისმგებლობის მატარებელ საიქციო საზოგადოებათა გამგეობისა და მზრუნველ კომიტეტის წევრი თუ

წარმომადგენელი, რამდენად ამ საზოგადოებას მიზნად აქვთ დასახული მოგება.

§ 75.

მთავრობა პასუხისმგებელია სემის წინაშე, რომელსაც შეუძლიან გამოუცხადოს მას უნდობლობა. ამისთვის საჭიროა ყველა დეპუტატთა უმრავლესობის დასწრება, შემდეგ დამსწრეთა უმრავლესობა და სახელობითი კენჭის ყრა.

§ 76.

წინადადება უნდობლობის გამოცხადების გამოტანისა ხელმოწერილი უნდა იქნეს არა ნაკლებ 100 დეპუტატის მიერ, იგი გადაეცემა კომისიას, რომელმაც უნდა წარმოადგინოს თავის დასკვნა რვა დღეში.

§ 77.

მთავრობას შეუძლიან სემში დასვას საკითხი ნდობის გამოცხადებისათვის. ეს საკითხი განიხილება პირდაპირ, კომისიაში გადაუცემლად.

§ 78.

1. თუ სემმა უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას ან უარყო მთავრობის წინადადება ნდობის გამოცხადებასა, მთავრობა ვალდებულია გადადგომის თხოვნა მისცეს პრეზიდენტს, რომელიც განსაზღვრავს თუ ვის გადაეცეს ხელისუფლება დროებით ახალი მთავრობის შედგენამდე.

2. თუ მთავრობა იმ დროს გადადგა, როცა არც პრეზიდენტი და არც მისი მოადგილე, მისი განთავისუფლებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დროებითი გადაცემის საკითხს სწევებს § 54 ძალით შემდგარი კომიტეტი.

§ 79.

1. თუ მთავრობის თავმჯდომარე ან მისი წევრი განზრახ თუ აშკარა გაუფრთხილებლობით დაარღვევს თავის თანამდებობის ასრულების დროს საკონსტიტუციო თუ სხვა კანონს, იგი პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე.

2. ბრალდების წამოყენების უფლება ეკუთვნის ეიშს. ხოლო სამოსამართლო პროცესს აწარმოებს სენატი.

ა. დაწვრილებით საზღვრავს კანონი.

§ 80.

მთავრობას თავისი გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიალურათ. ამ გადაწყვეტილების კანონიერებისათვის აუცილებელია, რომ დაესწროს, გარდა მთავრობის თავმჯდომარისა ან მისი მოადგილისა, ყველა მინისტრთა უმრავლესობა.

§ 81.

მთავრობა კოლეგიალურად იხილავს და სწყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) მთავრობის პროექტის სახალხო კრებისათვის, მთავრობის განკარგულებას (§ 84), აგრეთვე წინადადებას, რომ პრეზიდენტმა ისარგებლოს § 47-ით მინიჭებული უფლება;

ბ) ყველა პოლიტიკურის ხასიათის საქმეს;

გ) მოსამართლეთა, სახელმწიფო მოხმარებელთა და ოფიცერთა დანიშვნას, რამდენად ეს უფლება ეკუთვნის ცენტრალ ორგანოებს, ან კანდიდატების დასახელებას იმ თანამდებობაზე, რომელსაც იკავებენ პრეზიდენტის განკარგულებით (§ 64, 8).

§ 82.

რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს დაესწროს და უთავმჯდომარეოს მთავრობის სხდომას, უფლება აქვს მოთხოვოს მთავრობას და თვითნებურ მის წევრს წერილობითი მითხენება ყოველ საქმეზე, რომელსაც იკვებება მათი მოღვაწეობა.

§ 83.

პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს თათბირზე მთავრობა ან მისი წევრები ცალკალკე.

§ 84

მთავრობის ყოველს განკარგულებას ხელს აწერს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, აგრეთვე მინისტრები, რომელთაც ვეალებათ მისი განხორციელება. საზოგადოდ, გან-

კარგულებას ხელს უნდა აწერდეს მთავრობის წევრთა არა ნაკლებ ნახევრისა.

სამინისტროები და ადმინისტრაციის დაბალი ორგანოები.

§ 85.

სამინისტროების მოქმედებას საზღვრავს კანონი.

§ 86.

ადმინისტრაციის უფრო დაბალ ორგანოებში, შეძლების დაგვართ, განხორციელებულ უნდა იქნეს მოქალაქეთა მონაწილეობა და თანამშრომლობა. ყველა ადმინისტრაციულმა დაწესებულებამ უნდა მიიღოს ყოველი ღონისძიება, რომ მოქალაქეთა უფლება და ინტერესი საფუძვლიანად იქნეს დაცული (ადმინისტრაციული სამოსამართლო ორგანოები).

§ 87.

1. დაბალ უფლებიანი ადმინისტრაციულ დაწესებულების არჩეული წევრი არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყოს ისეთი დაწესებულების წევრიც, რომელიც მაღალუფლებიანი პარველის მიმართ ან აქვს მაზედ მეთავალყურეობის უფლება.

2. გამონაკლისი განისაზღვრება კანონით.

§ 88.

1. ადმინისტრაციულ დაწესებულების თვითნებობისაგან სამოსამართლო დაცვის საქმეს ანხორციელებს უმაღლესი ინსტანციის საამართლო, რომელიც შესდგება დამოუკიდებელ მოსამართლეთაგან და მოწყობილია მთელი რესპუბლიკის ტერიტორიისთვის.

2. დაწვრილებით განსაზღვრავს კანონი.

§ 89.

დაბალი ადმინისტრაციული მართვა-გამგეობის ორგანიზაცია ისაზღვრება კანონით, რომელსაც შეუძლიან მისი დაწვრილებითი მოწესრიგება მიანდოს ადმინისტრაციულ განკარგულებას.

§ 90.

ადმინისტრაციულ—გამწესრიგებელ ხელისუფლებას ეკუთვნის იმ სახელმწიფო დაწესებულებების დაარსება და მოწყობა,

რომელიც ზრუნავს მხოლოდ სამეურნეო მართვა-გამგეობისთვის.

§ 91.

თვითმართველობის ორგანოთა შემადგენლობას და მოქმედებას საზღვრავს ცალკე კანონი.

§ 92.

კანონი განსაზღვრავს, რამდენად პასუხისმგებელია სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების უკანონო მოქმედებით გამოწვეულ ზარალისთვის.

§ 93.

სახელმწიფო მოხელე ვალდებულია თანამდებობის ასრულების დროს დაიცვას საკონსტიტუციო და ჩვეულებრივი კანონები. ესევე ეხება მოქალაქეს, რომელიც ადმინისტრატიულ დაწესებულებისა თუ კორპორაციის წევრებია.

თ ა ვ ი მ ი ო თ ხ ა

სამოსამართლო ხელისუფლება

§ 94.

1. მართლმსაჯულებობა სწარმოებს სახელმწიფო სასამართლოში. კანონი საზღვრავს მის ორგანიზაციას, საქმის ქვემდებარებას და მოქმედების რაიონს, აგრეთვე მართლმსაჯულების წესს.

2. ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს თავის კანონიერ მოსამართლის მიერ.

3. მხოლოდ სისხლის სამართლის წარმოების წესით შეიძლება შემოღებულ იქნეს საგანგებო სასამართლო, ისიც მარტო განსაკუთრებულ შემთხვევაში და განსაზღვრულ ვადით.

§ 95

1. სამოქალაქო სამართლის კითხვებში სამოსამართლო ხელისუფლება ეკუთვნის სამოქალაქო, ან ჩვეულებრივ, ან არაჩვეულებრივ ან საკასაციო, სასამართლოებს. ხოლო სისხლის

სამართლის დარგში სამოსამართლო ხელისუფლება ეკუთვნის სისხლის სამართლის სასამართლოებს, უკეთუ იგი განსაკუთრებული განკარგულებით არ ექნება გადაცემული სამხედრო სასამართლოს, ან რამდენად საზოგადო განკარგულებით ძალით ამგვარ კითხვებს არ იხილავს საპოლიციო თუ საფინანსო მართლ-მსაჯულება.

2. ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე არსდება ერთი უმაღლესი სასამართლო.

3. ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს უფლებას და მოქმედებას საზღვრავს განსაკუთრებული კანონი.

4. ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს მოქმედება დროებით შეიძლება შეჩერებულ იქნეს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

5. სამხედრო სასამართლოს უფლება მოსილება შეიძლება გავრცელებულ იქნეს ჩვეულებრივ მოქალაქეებზე მხოლოდ ომის დროს და მხოლოდ ომის დროს ჩადენილ დანაშაულისათვის.

§ 96.

1. სასამართლოს საქმე ყველგან გამოყოფილია ადმინისტრაციული საქმისაგან.

2. სადაო საკითხებს სასამართლოა და ადმინისტრაციის შორის სწევეტს კანონი.

§ 97.

1. კანონი საზღვრავს პრობას, რომელიც აუცილებელია პროფესიული მოსამართლის თანამდებობის მისაღებად.

2. მოსამართლის უფლებებირვი მდგომარეობა განისაზღვრება ცალკე კანონით.

§ 98.

1. მოსამართლე დამოუკიდებელი და თავისუფალია თავის მოვალეობის ასრულებაში და პასუხის მგებელია მხოლოდ კანონის წინაშე.

2. მოსამართლე ფიცს სდებს, რომ დაიცავს კანონს.

§ 99.

1. პროფესიული მოსამართლე გადაუყენებელია. სურვილის წინააღმდეგ, იგი შეიძლება სხვა ადგილზე გადაყვანილ, დათხოვნილ ან თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს რეორგანიზაციის დროს კანონით განსაზღვრულ ვადის განმავლობაში ან მხოლოდ კანონიერ დისციპლინარულ დადგენილების ძალით. იგი შეიძლება თანამდებობიდან განთავისუფლდეს, თუ კანონით განსაზღვრულ ასაკს მიაღწია. დაწვრილებით განსაზღვრავს ცალკე კანონი, რომელიც დაადგენს აგრეთვე—რა პირობებში შეიძლება მოსამართლის დათხოვნა და განთავისუფლება თანამდებობიდან.

2. საკასაციო სასამართლოს და I და II ინსტუტის კოლეგიური სასამართლო მთელი წლის განმავლობაში ერთი და იმავე შემადგენლობისანი არიან. გამონაკლისს განსაზღვრავს კანონი.

§ 100.

პროფესიულ მოსამართლეს არ აქვს უფლება ქონდეს რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა, დროებით თუ მუდმივ, უკეთეს კანონმა გამონაკლისი არ აღნიშნა.

§ 101.

1. მართლ-მსაჯულება სწარმოებს რესპუბლიკის სახელით.

2. სასამართლოს სხდომა სწარმოებს სიტყვიერათ და საჯაროთ. განაჩენი სისხლის სამართლის საქმის ყოველთვის ცხადდება საჯაროთ. კანონი საზღვრავს იმ შემთხვევას როცა. სასამართლო სხდომა შეიძლება კარდახურული იქნეს.

§ 102.

სამართლის რომელიმე საკითხის გადაწყვეტის დროს მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძიოს ადმინისტრატიული განაკარგულების კანონიერება. კანონის შესახებ კი ვალდებულია მხოლოდ გამოიკვლიოს სათანადო წესით იყო გამოკვეთებული იგი თუ არა (§ 51).

§ 103.

1. პრეზიდენტს უფლება აქვს ამნისტიისა. უფლება აქვს სასჯელსაგან სრულიად განთავისუფლებისა ან მისი შემცირებისა. უფლება აქვს გააუქმოს სისხლის სამართლის საბრალმდებლო განაჩენის შედეგები, განსაკუთრებით სახალხო კრებაში და სხვა წარმოქმნილებით დაწესებულებაში საარჩევნო უფლების ჩამორთმევა. აქვს უფლება აგრეთვე გამოსცეს განკარგულება, რომ სისხლის სამართლის წარმოება სრულდებოთ არ იქნეს დაწყებული ან მოსპობილ იქნეს, გარდა კერძო მომჩივანთა მიერ აღძრულ სისხლის სამართლის ბრალდებისა და დასასჯელ მოქმედებისა.

2. ამის უფლება არა აქვს პრეზიდენტს თუ საქმე ეხება მთავრობის ბრალდებულ თუ მსჯავრდადებულ წევრებს (§ 79).

§ 104.

განსაკუთრებული კანონი განსაზღვრავს რამდენად პასუხისმგებელია სახელმწიფო და მოსამართლე იმ ვენებისათვის, რომლის მიყენებით მათ დაარღვიეს ვისიმე უფლება.

§ 105.

1. იმ შემთხვევაში, როცა სათანადო კანონის ძალით ადმინისტრატიულ დაწესებულება სწყვეტს კერძო უფლებბრძოლი ხასიათის საკითხს, კერძო პირს, რომელს ინტერესი ილახება ამ გადაწყვეტილებით, შეუძლიან თავისუფლების აღსადგენად ეძიოს სამართლიანობა სასამართლოს გზით.

2. დაწვრილებით სსსდრავს კანონი.

თ ა ვ ე მ ე ხ უ თ ე

მაქალაქის უფლება, თავისუფლება და მოვალეობა.

თანასწორობა.

§ 106.

1. უპირატესობა სქესისა, შთაქომავლობისა და პროფესიისა გაუქმებულია.

2. ყველა, ვინც ცხოვრობს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკაში.

კის საზღვრებში სარგებლობს, ისე როგორც რესპუბლიკის მოქალაქენი, სიცოცხლის და თავისუფლების სრული მფარველობით მიუხედავად შთამომავლობისა, ქვეშევრდომობისა, ენისა, რასისა თუ სარწმუნოებისა. ამ პრინციპიდან გადახვევა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო უფლების გადაწყვეტილების თანახმად.

3. ტიტულის მინიჭება შეიძლება მხოლოდ თანამდებობის ან პროფესიის აღსანიშნავად. ეს არ შეეხება აკადემიურ სამეცნიერო ხარისხს.

პიროვნების და ქონების თავისუფლება.

§ 107.

1. პიროვნების თავისუფლება უზრუნველყოფილია. დაწვრილებით საზღვრავს კანონი, რომელიც კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია.

2. პირადი თავისუფლების შეზღუდვა ან მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ კანონის ძალით. აგრეთვე მხოლოდ კანონის ძალით შეუძლიან სახელმწიფო ხელისუფლებას მოითხოვოს მოქალაქისაგან განსაზღვრული მოქმედების შესრულება.

§ 108.

1. ყოველ მოქალაქეს შეუძლიან აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, სადაც უნდა რესპუბლიკაში, შეიძინოს უძრავი ქონება და გამოანახოს ცხოვრების საღსარი საერთო უფლებრივ ფარგლებში.

2. ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია კანონის ძალით მხოლოდ საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველსაყოფელად.

§ 109.

1. კერძო საკუთრების სარგებლობის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონით.

2. კერძო საკუთრების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ კანონისძალით და ანაზღაურებით, თუ კანონით არაა დაწესებული ან არ დაწესდება, რომ ანაზღაურება არ მიეცემა.

§ 110.

ემიგრაციის უფლება შეიძლება შეზღუდულ იქნეს მხოლოდ კანონით.

§ 111.

1. გადასახადი შეიძლება გაწერილ იქნეს მხოლოდ კანონის ძალით.

2. მხოლოდ კანონის ძალით შეიძლება დასჯით დამუქრება და სასჯელის მიცემა.

ბინის ხელახლება.

§ 112.

1. ბინის შეუვალობა დაცულია.
2. დაწვრილებით საზღვრავს კანონი, რომელიც შეადგენს ამ კონსტიტუციის ნაწილს.

ბეჭდითი თავისუფლება. კრების და კავშირის უფლება.

§ 113.

1. უზრუნველყოფილია ბეჭდის თავისუფლება, აგრეთვე უზრუნველყოფილია უფლება მშვიდობიანი და უიარალო კრების და კავშირის დაარსებისა. ამის ძალით პრინციპიალურად აკრძალულია წინასწარი ცენზურის შემოღება. კრების და კავშირის უფლების განხორციელებას აწესრიგებს ცალკე კანონი.

2. კავშირი შეიძლება დახურულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ მისი მოქმედება არღვევს სისხლის სამართლის კანონებს ან საზოგადოებრივ მშვიდობას და წესიერებას.

3. კანონით შეიძლება შეზღუდულ იქნეს კრების თავისუფლება, განსაკუთრებით მიმოსვლის ადგილას და თავისუფლება მოგების მიზნით დაარსებულ საზოგადოებისა. აგრეთვე შეიძლება კანონით შეზღუდულ იქნეს ჯოჯოხეთა მონაწილეობა პოლიტიკურ კავშირებში. ამ გვარადვე შეიძლება დადგენილი იქნეს თუ როგორ შეიზღუდოს ზემოდ მოყვანილი პრინციპი ოპის დროს ან მაშინ როცა სახელმწიფოში შეიქ-

მნა მდგომარეობა, რომელიც ემუქრება რესპუბლიკას. კონსტიტუციას, საზოგადოებრივ მშვიდობიანობას და წესიერებას.

§ 114.

1. უზრუნველყოფილია უფლება კავშირისა, რომლის მიზანია მუშათა პროფესულ და ეკონომიურ ინტერესთა დაცვა და მფარველობა.

2. აკრძალულია კერძო პირის თუ საზოგადოების ყველა მოქმედება, რომელიც წარმოადგენს ამ უფლების განზრახ დარღვევას.

პეტციის უფლება

§ 115.

პეტციის უფლება ეკუთვნის ყოველ მოქალაქეს. იურიდიულ პირს და საზოგადოებას კი—ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ მათი მოქმედების ფარგლებში.

მიწერ-მოწერის საიდუმლოება

§ 116.

1. მიწერ-მოწერის საიდუმლოება უზრუნველყოფილია.
2. დაწვრილებით განსაზღვრავს კანონი.

სწავლა-მეცნიერების და სინაღის თავისუფლება. სიტყვის თავისუფლება.

§ 117.

1. კანონიერ ფარგლებში ყველას შეუძლიან გამოხატვას თავის შეხედულება სიტყვით, წერით, ბეჭდვით, ხატვით თუ სხვა ღონისძიებით.

2. ეს ეხება აგრეთვე იურიდიულ პირთ მათი მოღვაწეობის ფარგლებში.

3. ამ უფლების განხორციელებამ არ უნდა მოუტანოს რაიმე ვნება ვისიმე სამუშაო პროფესიას თუ სამსახურს.

§ 118.

ხელოვნება, მეცნიერული კვლევა-ძიება და მისი გამო-

ქვეყნება თავისუფალია, რამდენადაც ამით სისხლის სამართლის კანონები არ ილახება.

§ 119.

საგელმწიფო სასწავლებელში სწავლება ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებს.

§ 120

1. კერძო სასწავლებლის და აღმზრდელ დაწესებულების დაარსება ხდება მხოლოდ კანონის თანახმად.

2. ყოველგვარი სწავლების და აღზრდის მეთვალ ყურება ეკუთვნის სახელმწიფო ორგანოებს.

§ 121.

უზრუნველყოფილია სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლება.

§ 122.

ყველას, ვინც კი ცხოვრობს ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე უფლება აქვს, ისე როგორც რესპუბლიკის მოქალაქეს თავის სურვილისამებრ შეასრულოს ესა თუ ის სარწმუნოებრივი წესი და ჩვეულება, რამდენად მისი შესრულება არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს და წყობილებას თუ ზნეობას.

§ 123.

აკრძალულია, რომ აშკარა თუ ფარულად ძალდატანებით ვისმე მონაწილეობა მიადებინონ რომელიმე სარწმუნოებრივ საქმეში. ეს აკრძალვა არ ეხება იმ უფლებას, რომელიც გამომდინარეობს მამის თუ მზრუნველის ხელისუფლებიდან!

§ 124.

კანონის წინაშე თანასწორთა ყველა სარწმუნოება.

§ 125.

განსაზღვრულ სარწმუნოებრივ წესთა შესრულება შეიძლება აკრძალული იქნეს, უკეთეს ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს და საზოგადოებრივ ზნეობას.

ქორწინება და ოჯახი.

§ 126.

ქორწინება, ოჯახი და დედობა კანონის განსაკუთრებულ მფარველობის ქვეშ იმყოფება.

სამხედრო ბეგაზა.

§ 127.

1. ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელსაც შეუძლია სამხედრო სამსახური, ვალდებულია გაიაროს სამხედრო გამოცდის კურსი და დაემორჩილოს მოწოდებას სახელმწიფოს დასაცავად.

2. დაწვრილებით აწესებს კანონი.

თ ა ზ ი მ ი ი მ ს ე

ეროვნულ, სარწმუნოებრივ და რასიულ უმცირესობათა დაცვა.

§ 128.

ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი კანონის წინაშე სრულად თანასწორნი არიან და სარგებლობენ ერთნაირ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად კრისა, ენისა თუ სარწმუნოებისა.

სარწმუნოებისა, რწმენისა თუ ენის განსხვავებას არ შეუძლიან ხელი შეუშალოს საერთო კანონების საზღვრებში, ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის რომელიმე მოქალაქეს შევიდეს საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამსახურში, თავისუფლად აირჩიოს ესა თუ ის ხელობა თუ სამუშაო მოწოდებისამებრ.

ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის მოქალაქეთ შეუძლიათ, საერთო კანონების საზღვრებში, თავისუფლად იხმარონ ესა თუ ისიენა კერძო და საჯარო ურთიერთობაში, სარწმუნოებრივ საქმეებში, მწერლობაში, ყოველგვარ განცხადებაში და საზოგადოებრივ კრებაზე.

მაგრამ, ამით არ განისაზღვრება უფლება, რომელიც ეკუთვნის მთავრობის ორგანოებს საზოგადოებრივი წესიერების და სახელმწიფოებრივ მშვიდობიანობისა დასაცავათ, კანონების მიხედვით.

§ 129.

რესპუბლიკაში ენათ აუფლებას განსაზღვრავს ცალკე კანონი, რომელიც შეადგენს კონსტიტუციის ნაწილს.

§ 130.

საერთო კანონთა მიხედვით, რამდენადაც მოქალაქეებს უფლება აქვთ გახსნან და თავის ხარჯით შეინახონ საქველმოქმედო, სარწმუნოებრივი და სოციალური საზოგადოება, შკოლა და სხვა განმანათლებელი დაწესებულება, ისინი სრულებით თავისწორნი არიან მიუხედავად ეროვნებისა. სარწმუნოებისა და რასისა მათ თავისუფლად შეუძლიათ ამ დაწესებულებებში იხმარონ თავისი ენა და შეასრულონ თავის სარწმუნოების წესი და ადათები.

§ 131.

ქალაქსა და მაზრაში, სადაც ცხოვრობს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი უმცირესობა, რომლის დედაენას ჩეხოსლოვაკური ენა არ შეადგენს, საერთო საშკოლო კანონის საზღვრებში ამ უმცირესობის ბავშვებს მიეცემათ სათანადო საშუალება შკოლაში თავის დედაენაზე ისწავლონ. ამასთანავე აქ შესაძლებელია ჩეხოსლოვაკური ენის სწავლება სავალდებულო გახდეს.

§ 132.

თუ ქალაქსა და მაზრაში, სადაც ცხოვრობს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი უმცირესობა განსხვავებული სარწმუნოებით, ეროვნებით თუ ენით, აღზრდის, სარწმუნოების და ქველმოქმედების საქმისთვის უნდა დაიხარჯოს თვითმართველობათა ხარჯთაღრიცხვის თანახმად განსაზღვრულნი სახელმწიფოებრივი თუ სხვა საზოგადოებრივი თანხა, — ასეთ უმცირესობას, საერთო წესების მიხედვით უზრუნველყოფილი ექნება შემოსავლის სათანადო ნაწილი და მისი მოხმარება.

§ 133.

§§ 131 და 132-ში გამოთქმულ პრინციპების განხორციელება, განსაკუთრებით ცნების „მნიშვნელოვანი უმცირესობა“ — ნამდვილი განსაზღვრა უნდა გახდეს საგნად ცალკე კანონმდებლობისა.

§ 134.

აკრძალულია ძალდატანებითი დენაციონალიზაცია. ამ პრინციპის დარღვევა კანონით შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად.

ტ. გ. მახარიკი, ტუსაჩი; სტანიეკი, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე; გოუდუკო, მომარაგების მინისტრი და მოადგილე ჯანმრთელობის მინისტრისა და ჩეხოსლოვაკურ რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანიზაციის და კანონმდებლობის გაერთიანების მინისტრისა; დ-რი ბენეში, ზონტაგი, პრაშეკი, დ-რ ვესელი. კლიუფაჩი, დ-რი გეიდლერი, დ-რი ვინტერი დ-რი ფრანკე, გამპლი.

ენათა უფლება ჩეხოსლოვაკიაში

(კანონი გამოცემულია კონსტიტუციის § 149 თანახმად, 1920 წელს თებერვლის 29).

§ 1.

ჩეხოსლოვაკური ენა რის რესპუბლიკის სახელმწიფო, ოფიციალური ენა. (მოკავშირე სახელმწიფოთა და ჩეხოსლოვაკურ სახელმწიფოს შორის დადებულ და სენ ჟერმენში 1919 წ. სექტემბრის 10 ხელმოწერილ ხელშეკრულების მე-7 სტატია).

ამ გვარად იგი არის ენა.

1 რომელზედაც სწარმოებს საქმე რესპუბლიკის ყველა სასამართლოში, ყველა სახელისუფლო ადგილას, ყველა დაწესებულებასა და ორგანოში; რომელზედაც ქვეყნდება ამ დაწესებულებათა განცხადებანი და სწარმოებს მათი ურთიერთული დამოკიდებულება. გამონაკლის შეადგენს ის, რაც ნაჩვენებია §§ 2 და 5 და რაც § 6 ძალით დაწესდება პოლიტიკური რუსისთვის.

2. რომლითაც დაწერილია სახელმწიფო ღირებულებიანი ქაღალდები და საკრედიტო ბილეთების ძირითადი ტექსტი.

3. რომელსაც სარგებლობს სახელმწიფოს სახელგარო ხელისუფლება, როგორც სამსახურის და ბრძანებლობის ენას. ურთიერთობა მხედრებთან, რომელთაც ეს ენა არ იციან, შესაძლებელია მათი დედა ენის საშუალებითაც.

განსაკუთრებული განკარგულება განსაზღვრავს ჩეხოსლოვაკურ ენის სავალდებულო ცოდნას სახელმწიფოს დაბალ და მაღალ მოსამსახურეთათვის, აგრეთვე სახელმწიფოებრივ დაწესებულების მოსამსახურეთათვის.

§ 2.

ერაზუნებით და ენით განსხვავებულ უმცირესობის შესახებ (სენეტირმენის ხელშეკრულების I თავი) ძალა აქვს შემდეგ დადგენილებას:

რესპუბლიკის სასამართლო, სახელისუფლო ადგილი თუ ორგანო, რომლის კომპეტენცია ეხება სამოსამართლო უბნის რაიონს, სადაც უქანასქნელი აღწერით ცხოვრობს არა ჩეხოსლოვაკურათ მოლაპარაკე მოქალაქეთა ერთი და იმავე უმცირესობის სულ მცირე 20%, ვალდებულია მიიღოს უმცირესობის წარმომადგენელთაგან თხოვნა და განცხადება ამ უმცირესობის ენაზე და უპასუხოს არა მარტო ჩეხოსლოვაკურად, არამედ შემოტანილი თხოვნის ენითაც.

თუ თვითმართველ ერთეულის ტერიტორიაში შედის რამდენიმე სამოსამართლო უბანი, მთელი ერთეული ითვლება ერთ უბნად.

განსაკუთრებული განკარგულება განსაზღვრავს რომელ სასამართლოსა და სახელმწიფოს დაწესებულებაში შეიძლება პა'უხის მიცემა მარტო ოდენ ერთ მოდავის ენაზე.

ამავე პირობებში პროკურორი ვალდებულია ბრალდებულს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, სპრალმდებლო ოქმი წარუდგინოს ამ უმცირესობის ენაზედაც და ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ამ ენაზე.

აღმასრულებელი ხელისუფლება დაადგენს რომელ ენაზე უნდა ხდებოდეს ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება.

როცა მოდავეს არ შემოუტანია თხოვნა ან განცხადება და ამასთანავე ყველა დანარჩენი § 2-ში აღნიშნულ პირობა დაკულია, აღსრულების ქალღი მას მიეცემა თავის დედაენაზედაც და ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ თავის ენაზედ, თუ აშკარად სჩანს რომელი ენას თვლის თავის ენად მოდავე; ხოლო თუ მოდავე გამოთქვამს გადაჭრილ სურვილს, იმ ენაზედ, რომელსაც მოისურვებს.

მაწრაში, სადაც ეროვნული უმცირესობაა, § 2 ძალით

სამოსამართლო, სახელმწიფო დაწესებულებისა და საჯარო განცხადებაში ხმარებულ უნდა იქნეს აგრეთვე ამ ეროვნული უმცირესობის ენაც.

§ 3.

თვითმართველობის ორგანო, წარმომადგენელთა კრება და ყოველგვარი კორპორატიული დაწესებულება სახელმწიფოში ვალდებულია მიიღოს სიტყვიერი და წერილობითი განცხადება ჩეხოსლოვაკურად და პასუხი გასცეს ჩეხოსლოვაკურადვე. მათ ყრილობასა და თათფირზე ყოველთვის შეიძლება ამ ენის ხმარება. ამ ენაზე გაკეთებული განცხადება და წინადადება უნდა გახდეს განხილვის საგნად.

საჯარო განცხადების და გარეგნულ გამოხატულების ენას დაწესებს სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლება. თვითმართველობის ორგანო, წარმომადგენელთა კრება და კორპორატიული დაწესებულება ვალდებულია მიიღოს განცხადება და აღასრულოს საქმე სხვა არა ჩეხოსლოვაკურ ენაზე. აგრეთვე მათ უნდა შეიწყნარონ სხვა არა ჩეხოსლოვაკურ ენაზე დაპარაკი ყრილობასა და თათფირზე მე-32 განმარტებულ პირობათა დაცვით.

§ 4.

სარგებლობს რა ოფიციალურ ენას სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულება სლოვაკიის ტერიტორიაზე საქმეს აწარმოებს სლოვაკურად; ხოლო რესპუბლიკის იმ ტერიტორიაზე, რომელიც 1918 წლის 28 ოქტომბრამდე ეკუთვნოდა ტისლეიტანიას ან პრუსიის სამეფოს - ჩეხურად.

სლოვაკური ოფიციალური პასუხი ჩეხურ განცხადებაზე ან ჩეხური პასუხი სლოვაკურ განცხადებაზე ითვლება საქმის აღსრულებად განცხადების ენაზე.

§ 5.

ეროვნულ უმცირესობათათვის დაარსებულ შკოლაში სწავლება სწარმოებს მათ დედა ენაზე. მათთვის დაარსებული კულტურული დაწესებულება სარგებლობს იმავე ენას (სწე-რმენის ხელშეკრულების მე-9 სტატია).

§ 6.

სიემის, რომელიც დაწესდება პოდკარპატსკი რუსისთვის ენიჭება უფლება ამ ტერიტორიისათვის გადასწყვიტოს ენის საკითხი იმ წესით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ჩეხოსლოვაკურ სახელმწიფოს მთლიანობის იდეას (ს. ჟერმენის ხელშეკრულობის მე-10 სტატია).

ვეღრე ეს საკითხი გადაწყდებოდეს, უნდა განხორციელდეს ეს კანონი; მხოლოდ ენათა განსაკუთრებული პირობებს უნდა გაეწიოს ანგარიში ადგილობრივ.

§ 7.

ენის ხმარების სადაო საკითხებს სასამართლოში, სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანოში ისე როგორც თვითმართველობითი ორგანოსა და კორპორატიულ საზოგადოებრივ დაწესებულებაში სწყვეტენ სათანადო სახელმწიფო მეთვალყურე ორგანოები, სწყვეტენ, როგორც სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეებს, მიუხედავად მათი არსებითი შინაარსისა.

§ 8.

დაწერილებით ამ კანონის განსახორციელებლად გამოსცემს განკარგულებას აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლება. იგი ამ კანონის დედა აზრის თანახმად გადასწყვეტს ენის ხმარების საკითხს თვითმართველობის ორგანოებში, წარმომადგენელთა კრებებზე და სხვა და სხვა კორპორატიულ დაწესებულებაში, აგრეთვე იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, რომლის კომპეტენცია სამოსამართლო უბანზე უფრო მცირე უბანს სწვდება ან და რომელსაც უბანი სრულიადაც არა აქვს.

ეს განკარგულება აგრეთვე უნდა ეხებოდეს იმას თუ რა ღონისძიება იქნება მიღებული ოფიციალურ ურთი-ერთობის გასაადვილებლათ იმ ენის არ მცოდნე მოდავე მხარეთა შორის, რომელსაც ამ კანონის თანახმად, ხმარობს სასამართლო, სახელმწიფო დაწესებულება და ორგანო. საქირთა აღინიშნოს

ღონისძიება, რომა მოდავენი უფლებრივად არ დაზარალდენ
ენის უცო-დინარობის მიზეზით.

ამ კანონის ძალაში შესვლის დღიდან ხუთი წლის გან-
მავლობაში შეიძლება შეწყნარებულ იქნეს ადმინისტრაციუ-
ლი განკარგულებით ზოგიერთი გამონაკლისი, რომელიც
აუცილებელია ნორმალური მართველობისათვის.

ასეთმა განკარგულებამ თვითონ უნდა აღნიშნოს ის წე-
სი, რომელიც უზრუნველყოფს სასწრაფოდ მის განხორციე-
ლებას.

§ 9.

ეს კანონი ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა. იგი
აუქმებს ყველა 1918 წ. 28 ოქტომბრამდე გამოცემულ გან-
კარგულებასა და წესს ენათა ხმარების შესახებ.

ამ კანონის შესრულება ევალება ყველა მინისტრს.
